დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

ეთიკის კოდექსი

2025

მუხლი 1. ძირითადი პრინციპები

1. აკადემიის ყველა სტუდენტი/მსმენელი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, ხელშეკრულებით, აკადემიის მიერ დადგენილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი, პროფესიული სტუდენტის შეფასებისა და დისტანციური სწავლების წესით.
2. სტუდენტი იზიარებს აკადემიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.

მუხლი 2. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის უფლებები და მოვალეობები

2.1.პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია:
•გაუფრთხილდნენ დაწესებულების პრესტიჟს;
•დაიცვან დაწესებულების ტერიტორიაზე ქცევის წესები, აგრეთვე, ეთიკის ნორმები დაწესებულების პერსონალთან და სხვა პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობაში;
•არ დაუშვას სხვა პირის მიმართ არათანაბარი მოპყრობა და დისკრიმინაციური მიდგომა;
•აკადემიაში გამოცხადდეს მოწესრიგებულ მდგომარეობაში;
•ხელი არ შეუშლოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობას;
2.2. აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეკრძალებათ:

- თამბაქოს მოწევა;
- ხმაური და მეცადინეობისათვის ხელის შეშლა;
- დაწესებულების შენობის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის შეკრებისა და მანიფესტაციის მოწყობა;
- დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღით შესვლა;
- დაწესებულების ტერიტორიაზე აზარტული თამაშები;
- ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, ან ალკოჰოლის ზემოქმედების/თრობის ქვეშ აკადემიაში გამოცხადება;
- გამოცდის ჩატარებისა და გამოცდაზე ქცევის წესების დარღვევა;
- სასწავლო პროცესის ხელის შეშლა ან ჩაშლა;
- დაწესებულების შენობაში არსებული საინფორმაციო და სადემონტრაციო მასალის დაზიანება და განადგურება;
- პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისადა თანამშრომლებისათვის შეცდომაში შემყვანი და არანამდვილი ინფორმაციის მიწოდება;
- აკადემიის ქონების, მატერიალური ტექნიკური ბაზის ან საბიბლიოთეკო ფონდის დაზიანება, დაკარგვა ან დაუბრუნებლობა;
- დაწესებულებაში არსებული საქმიანი დოკუმენტაციის უნებართვოდ აღება, დაზიანება და განადგურება;
- დაწესებულების ტერიტორიის (შენობისა და ეზოს) დანაგვიანება-დაბინძურება;
- სხვა პირის ნამუშევრის მითვისება ან/და გამოყენება როგორც საკუთარი.
- წყაროს მითითების გარეშე , სხვისი ნაშრომის გამოყენება - პლაგიატი.
- სხვა სტუდენტისთვის ხელის შეშლა , მისი ნამუშევრის მისაკუთრება, განადგურება ან შეცვლა.

2.3. აკადემია ვალდებულია:

- დაიცვას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი აკადემიის პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის, შეურაცხყოფისა და უყურადღებობისაგან;

2.4.აკადემია ახორციელებს და მხარს უჭერს სტუდენტების/მსმენელების თანარ მოპყრობასა და ხელმისაწვდომას.
2.5.დაუშვებელია ნებისმიერის სახის დისკრიმინაცია და შევიწროება, როგორც სასწავლო ასევე, სამუშაო პროცესში.

მუხლი 3. დისციპლინური პასუხისმგებლობა

3.1. დისციპლინური პასუხისმგებლობა წარმოადგენს იურიდიულ პასუხისმგებლობას, რომელიც გამოიყენება აკადემიის პროფესიული სტუდენტის/მსმენელების მიმართ დისციპლინარული გადაცდომის შემთხვევაში.
3.2. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პროფესიული სტუდენტის/ მსმენელის მხრიდან დადგენილი წესებისა და ვალდებულებების დარღვევა. აღნიშნულის შესახებ წარმოების დაწყების მიზნით დაინტერესებული პირი წერილობით განცხადებით მიმართავს რექტორს.
3.3. რექტორი შესაბამის პირს ავალებს წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამატებით მოკლევის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ მიცემული განმარტებაში მითითებული გარემოებები არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად.
3.5. წარმოების დასრულების შემდგომ, რექტორი იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინარული ღონისძიების გამოყენების ან წარმოების შეწყვეტის შესახებ.
3.6. ყოველი დისციპლინური დარღვევა განხილული იქნება ინდივიდუალურად, შესაბამისად, რექტორი გადაწყვეტილებას მიიღებს სირთულის, სიმძიმისა და დისციპლინური გადაცდომის შედეგის გათვალისწინებით.
3.7. რექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყო დასაბუთებული და გამოყენებული დისციპლინარული ღონისძიება უნდა იყოს დარღვევის თანაზომიერი. ღონისძიების ზომა და გამოყენების ვადა განისაზღვრება ბრძანებით.
3.8. აკადემიის პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის დისციპლინური სახდელი:
•გაფრთხილება;
•საყვედური;
•სასწავლო პროცესიდან დროებით გათავისუფლება;
•სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა;
•მატერიალური პასუხისმგებლობა;
3.9. პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.
3.10. განმეორებით ჩადენილი გადაცდომისთვის შესაძლებელია უფრო მძიმე სახდელის გამოყენება. აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს რექტორი ინდივიდუალურად. წარმოების სირთულისა და ჩადენილი ქმედების კომპლექურობიდან გამომდინარე, შესაძლებელია რექტორის ბრძანებით, მოხდეს შესაბამისი კომისიის ფორმირება.
3.11. აღნიშნული კომისიის წევრები შეიძლება იყვნენ აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირი.
3.12. კომიისიის შექმნისა და საქმიანობა პროცესი უნდა წარიმართოს მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და გამჭირვალედ.
3.13. კომისია გადაწყვეტილებას იღებს უმრალესობით. კომისიის სხდომები უნდა აისახოს შესაბამის ოქმში. რექტორი გადაწყვეტილება იღებს კომისიის ოქმის საფუძველზე.
3.14. დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები აკადემიაში დასაქმებული პირებისათვის განისაზღვრება პერსონალის მართვის წესის შესაბამისად.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის წახალისება

4.1 წარჩინებული სწავლისა და აკადემიის საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, პროფესიული სტუდენტი/მსმენელი წახალისდება შემდეგი ფორმით:

- მადლობის გამოცხადება;
- ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;

- სტიპენდიის დანიშვნა;
- გამოყენებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- სწავლის საფასურისაგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება;

4.1. წახალისების ფორმა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 5. სისუფთავის სტანდარტი

5.1 სისუფთავის სტანდარტი განსაზღვრავს აკადემიის სისუფთავის ნორმებს.

5.2. აკადემიის სისუფთავის ნორმების დაცვა ნიშნავს, რომ დღის ნებისმიერ დროს: უკლებლივ ყველა აუდიტორია, შენობის შიდა ფართი და აკადემიის ეზო ყოველთვის (როგორც სამუშაო დღის მანძილზე, ისე დღის ბოლოს) იყოს სუფთა და აკურატული;

5.3. დაუშვებელია აუდიტორიაში მაგიდაზე ტანსაცმლისა და პირადი მოხმარების საგნების (მაგ. ქურთუკები, ჩანთა, ქუდები, ქოლგები, კოსმეტიკა, საჭმელი და სხვა) განთავსება;

5.4.აკადემიის შიდა სივრცეში დაუშვებელია ჭამა; დაშვებულია მხოლოდ ცივი ან ცხელი სასმელის დალევა ჭიქით/ბოთლით.

5.5.აკადემიის სტუდენტი ვალდებულია, არ დაანაგვიანოს და დააზიანოს აკადემიის შიდა სივრცე და ეზო. მატერიალურ ტექნიკურ საშუალებების გამოყენებისას მოეპყრას, როგორც საკუთარს.

ადმინისტრაციული პერსონალისა და
პროფესიული განთლების მასწავლებლებისთვის ეთიკის კოდექსი

მუხლი 6 . სასწავლო პროცესი

6.1 ადმინისტრაციული პერსონალი , მასწავლებლების ძირითადი მოვალეობაა აღზარდონ და ჩამოაყალაბინო მაღალი პროფესიული დონის სპეციალისტები.

6.2.სასწავლო პროცესი უნდა წარიმართოს აკადემიის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

6.3.დარგის სპეციფიკიდან/განვითარებიდან გამომდინარე პერიოდულად უნდა განაახლონ სასწავლო მოდულის თემატიკა და სტრუქტურა.

მუხლი 7 . პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან ურთიერთობა

7.1 პროფესიული განათლების მასწავლებელი დროულად უნდა გამოცხადეს ლექციაზე, ჯეროვან დონეზე მომზადებული და ორგანიზებული, ობიექტური მიზეზის გარეშე არ უნდა დაუშვას ლექციის ადრე დამთავრება ან გაცდენა, დანიშნულ დროს ჩაატაროს შეფასება და შეაფასოს სტუდენტუ ობიექტურად.

7.2.დანერგოს სწავლების მეთოდები რომლებიც განაპირობებს სტუდენტის აკადემიურ პატიოსნებას და გამორიცხავს პლაგიატს და პროფანაციას. ხელი შეუწყოს სამართლიანი გარემოს ჩამოყალიბებას.

7.3.სტუდენტებს/მსმენელებს მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ გამორიცხოს შესაფებაზე მოქმედი ისეთი ფაქტორები როგორიცაა : ეთნიკური, რასობრივი, რელიგიური, გენდერული თუ პოლიტიკური კუთვნილება. არ დაუშვას პროტექციონიზმი და ფავორიტიზმი, დაუშვებელია სტუდენტების დისკრიმინაცია ამ და სხვა საფუძვლებით.

7.4.მიუღებელია სტუდენტების /მსმენელების შესაძლებლობების გამოყენება პირადი მიზნებისთვის.

მუხლი 8. ეთიკის ნორმების დაცვა

8.1 ეთიკის ნორმების დარღვევისთვის გამოყენებული იქნება შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხიმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები.

მუხლი 9. ადმინისტრაციულ პერსონალთან ურთიერთობა

9.1ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემაზე და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული ურთიერთობა, რომელიმე მხრიდან დაუშვებელია დისკრიმინაცია.

მუხლი 10. ადმინისტრაციული პერსონალი

10.1.ადმინისტრაციული პერსონალი პატივს უნდა სცემდეს აკადემიას და მის ტრადიციებს, თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყროს სამართლიანად, კეთილსინდისიერად და პატივისცემით. განახორციელოს ისეთი პოლიტიკა რომელიც გმაორიცხავს თანამშრომლებისა და სტუდენტების დისკრიმინაციას : სქესის, ასაკის, რასბრივი, ეთნიკური პოლიტიკური ან რელიგიური კუთვნილების საფუძველზე.

10.2.ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობა უნდა ეფუძვნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს , კეთილსინდისიერებასა და პატიოსნებას; ხელს უწყობდეს საზოგადებაში აკადემიის სახელისა და რეპუტაციის განმტკიცებას. ამ მიზნით პერსონალი უნდა ემორჩილებოდეს აკადემიის მიერ დადგენილ წესებსა და პროცედურებს.

10.3.ადმინისტრაციულმა პერსონალმა აკადემიის საჭიროებისათვის , ეფექტიანად უნდა გამოიყენოს აკადემიის ქონება, სამუშაო დრო და ინტელექტუალური რესურსი. არ გაამჟღავნოს პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

10.4.ეთიკური ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებულია აკადემიის შინაგანაწესით და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომებით.

მუხლი 11 . პერსონალისთვის დაწესებული შეზღუდვები

11.1.აკადემიის ტერიტორიაზე პროფესიულ განათლების მასწავლებელს და ადმინისტრაციულ თანამშრომლეს ეკრძალებათ:

- თამბაქოს მოწევა;
- დაწესებულების შენობის ტერიტორიაზე პოლიტიკური ხასიათის შეკრებისა და მანიფესტაციის მოწყობა;
- დაწესებულების შენობაში ცეცხლსასროლი ან გაზის იარაღით შესვლა;
- დაწესებულების ტერიტორიაზე აზარტული თამაშები;
- ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული საშუალებების გამოყენება, ან ალკოჰოლის ზემოქმედების/თრობის ქვეშ აკადემიაში გამოცხადება;
- ეთიკის ნორმების დარღვევისთვის გამოყენებული იქნება შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინარული პასუხიმგებლობის ნორმებით დადგენილი ზომები.

მუხლი 12. გარდამავალი დებულებები

12.1.ეთიკის კოდექსს ამტკიცებს რექტორი ბრძანებით, ცვლილებების შეტანა ხორციელდება ბრძანების გამოცემის გზით.

12.3.კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე პროცესის რეგულირებისთვის დამატებით გამოიცემა რექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.